1877—1896

№ 5

სამშაბათი, 9 იანვარი 1896

# ივერია

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 5

სამშაბათი, 9 იანვარი 1896

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი №227


**კნეინა ნატალია ალექსანდრეს ასული, თავადი ილია დავითის ძე ხერხეულიძე** და **კნეინა ეკატირინე დავითის ასული ციციშვილისა,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ქმრისას და მეორენი ძმისა თვისისას **თავადის ზაალ დავითის ძე ხერხეულიძისას** და სთხოვენ პატივი სცენ და მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ დასასწრებლად ამ თვის 9-ს დილის 10 საათზედ საკუთარ სახლში, წყნეთის ქუჩაზედ № 6, საიდგანაც მიცვალებულის გვამი წასვენებულ იქნება ვერის სასაფლაოს წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

ოთხშაბათს, 10 იანვარს, წლის თავზე გარდაცვალებულის **საპატიო კანონიკოსის დონ-დიმიტრის თავადის**

**თუმანოვისა**

რომაელ-კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში, რომელიც შუა ბაზარში იმყოფება, დილის $10^1/_2$ საათზე გარდახდილ იქნება მოსახსენებელი ლიტურგია და პანაშვიდი. (1—514—1).

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

კალერ. გუნიას მიერ გამოცემული

**საქართველოს კალენდარი**

**1896 წ.**

ფასი ათი შაური.

უმთავრესი საწყობი წერ. კითხვ. გამავრცელ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში. (10—6)

კახეთის მევენახეთა საზოგადოება წოდებით

**„კახეთი“**

საზოგადოების გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1896 წ. პირველ იანვრიდგან, თანახმად დამტკიცებულის წესდებისა გახსნა ღვინის ვაჭრობა.

ღვინოების საწყობები და მაღაზიები არიან: ერევნის მოედანზე თამამშოვის ქარვასლაში და მიხაილოვის ქუჩაზე, სლივიცკის სახლებში, № 81.

გამგეობა.
(2—2).

—

**კახეთის მევენახეთა ამხანაგობა**

საყოველთაოდ აცხადებს, რომ თანახმად „კახეთის მევენახეთა საზოგადოების

**„კახეთი“-ს**

დამტკიცებულის წესდებისა, ხსენებულს საზოგადოებას „კახეთს“ გადასცა ყოველი თავისი ქონება და ალებ-მიცემობა.

(2—2)

ქართული თეატრი.

ოთხშაბათს, 10 იანვარს, 1896 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

**ს. პ. სვიმონიძის** საბენეფისოდ ქქ. ნ საფაროვისა, ავალიშვილისა, აბაშიძისა და ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით

**გამარცული ფოსტა**

დრამა 5 მოქმედ. თარგ ვ. აბაშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: საფაროვისა, ავალიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ადამიძე, მჭედლიშვილი, წერეთელი, კარბელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

პარასკევს, 12 იანვარს, დანიშნულია ბენეფისი სუფლიორისა და სცენარიუსისა.

რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი


## მთავრობის განკარგულებანი.

—

1-ლ იანვარს.

კარგის სამსახურისათვის პოდპოლკოვნიკობიდამ პოლკოვნიკად აღყვანილ იქმნა გრენადერთა 16 სამეგრელოს პოლკისა საგინაშვილი.

კოლეჟ. ასესორობა მიეცა გერმო მანდობილებათა VI კლასის მოხელეს ნიკოლოზ დევდარიანს.

მეორე ხარისხის ანნა მიეცა; ტფილისის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს თავ. ალექსანდრე ჯავახოვსა და ელისავეტპოლისას ონისიმე ცერცვაძეს.

სტანისლავა მესამე ხარისხისა მიიღეს: კავკავის რეალურ სასწავლებლის მასწავლებელმა სტ. სოვ. ნიკოლოზ ბალანჩივაძემ, კუბის პირველ-დაწყებითის სასწავლებლის მასწავლებელმა—გამგემ სვიმონ გამრეკელმა და ტფილისის მესამე გიმნაზიის მასწავლებელმა ათანასე ჯვარიშეიშვილმა.

წმ. სტანისლავა 2 ხარისხისა მიიღო ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელმა-აღმზრდელმა გიორგი უთურგაულმა.

## ახალი ამბავი

—

*** შაბათს, 6 იანვარს, ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართა სათავად-აზნაურო ბალი. ჩვეულებრივად დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა და დიდათ ნასიამოვნები დილის 5 საათზე დაიშალა.

*** კვირას, 7 იანვარს, ავჭალის იაფ-ფასიან სასადილოში ღარიბ ბავშვებს გაუმართეს „შობის ხე“. ამ დღესასწაულს დაესწრო 500-მდე ბავშვი და სამწუხაროდ ბევრი კიდევ გარეთ დარჩა. ბავშვებს საჩუქრებიც დაურიგეს.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ თავ. ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი“ უკვე გადაუთარგმნიათ ინგლისურად და მალე დასტამბავენ კიდეც.

*** სახალხო საექიმო გაზეთი' რომლის დაარსების შესახებ ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველთ, გამოსვლას დაიწყებს ამ წლის 1 აპრილიდამ.

*** მივიღეთ მე-X ნაწილი ვიქტორ ჰიუგოს ლექსთა კრებისა, რუსულს ენაზე თარგმნილი ბ. თხორჟევსკის რედაქტორობით.

*** ჩვენ მივიღეთ სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის ნება-დართვით გამოცემული ახალი წიგნი: „კრებული ფასიან მცენარეთა კულტურის შესახებ“. ამ კრებულში მოთავსებულია შემდეგი გამოკვლევანი:

„ჩაი და მისი მოყვანა შავის ზღვის ნაპირებზე კავკასიაში“. ს. ნ. ტიმოფეევისა.

„კულტურა ზაფრანისა კავკასიაში“. ს. ნ. ტიმოფეევისა და ა. ა. გინცენბერგისა.

„ბრინჯის მოვლა-მოყვანა ბათუმის ოლქის ურწყავ მამულებში“. ს. ნ. ტიმოფეევისა.

*** მიუხედავად იმისა, რომ წყალკურთხევა დღეს რევოლვერების სროლა აღკრძალული იყო, მაინც ბევრმა გაისროლა რევოლვერი და ამას უბედურებაც მოჰყვა: სომეხთა იორდანესთან ერთს ცამეტის წლის ბავშვს მოხვდა ტყვია შუბლში და მაშინვე გარდაიცვალა. ეს ტყვია მტკვრის მარცხენა ნაპირიდამ წამოვიდა, რომელსაც წისქვილიდამ ისროდა ვიღაცა. ბავშვის გვამი საავადმყოფოში წაიღეს და დამნაშავეც შეიპყრეს.

*** ქვემო-მაჩხაანი: სახალხო დეპოს გამგეობა აპირებს გადიტანოს დეპოს ახალს შენობაში წიგნთ-საცავიც და გახსნას აფთიაქის მაღაზიაც, რომელიც დიდად საჭიროა იაფად სყიდულობდეს ხალხი წამლეულობას. განძრახვა აქვს გამგეობას დაადგას შენობას მესამე სართულიც დეპობანკის წევრთა საკრებულოდ და კვირა-უქმე დღეს ხალხისათვის წარმოდგენების გასამართად და ლექციების საკითხავად; იმედია ქიზიყის ინტელიგენცია და ოჯახიშვილები კვლავ ხელს წაუმართვენ გამგეობას ამ სასიქადულო საქმის განხორციელებაშიაც, ვიდრე ქიზიყის უმრავლესობა მხარს მისცემს საწევრო ფულის ჩამოსვლით ქიზიყისავე ასოციაციას, და მაშინ-კი ის მძლეთა მძლევი ერთობის ძალა ათას საქვეყნო-საკეთილო საქმეს აღმოაცენებს

## ფელეტონი

### ღამის მეხრე

(სახალხო ლექსი).

შორს-შორსა დასავლეთისკენ
დაეშვა ხომლი-კრებული,
მის ადგილს აღმოციმციმდა
ცისკარი გაბრწყინვებული;
ვით მამამ შვილსა გრძნობითა
დაჰხედა მინდორს და ველსა
და აგრძნობინა სიამე
ამღროსა თვისსა მნახველსა.
ფოთლით დაბურულ ბუჩქშია
ტოროლამ შეიფრთხიალა,
გამოხტა, მინდორს მოჰფინა
ხმა მშვენიერი, წკრიალა!
მგზავრსა და ღამის მეხრესა
მეტის-მეტათა იამა
და შემდეგმა ხმამ ჰაერი
გააპო, ვითა ტყვიამა:
შენი ჭირიმე, ტოროლავ,
შენ გენაცვალე, შენაო,
დაშტვინე ეგრე ტკბილადა,
არ დააყენო ენაო!
განთიადისა მორბედო,
ცამდის აღმწვდენო ხმისაო,
ერთგულ-ერთსულო, გუშაგო,
მინდვრათა მშრომელისაო.
შენ გენაცვალოს სუყველა,
ვინაც-კი იცის ფრენაო,
ბნელით მოცულსა ღამეში
შენგან გვიტკბება სმენაო!..
ტოროლავ, შენი ჭირიმე,
შენი ნარ-ნარი ხმისაო,
ღამის მეხრეთა იმედო,
მცნობო მათ გულის თქმისაო.
აფრინდი მაღლა, დაშტვინე
სოფელსაც ვითა ველსაო,
გამოაღვიძე იქ სძინავს
ჩემს მტანჯველს დამდაგველსაო;
უთხარი: მალე მოგივა
გადაგხვევს ყელზე-ყელსაო,
პასუხსა გასცემს, გაჰკიცხავს,
შენზე ურიგოს მთქმელსაო.
ნუ დაჰლონდები, გენაცვა,
და ნუ მოიწყენ თავსაო,
იქმნები დიდად საქები
თუ გაუმკლავდი ავსაო!..
არ დაუჯერო დედაშენს,
არ მიგათხოვონ სხვასაო,
შენ ჩემი ხარ და მე შენი,
ვფიცავ ღმერთსა და ცასაო!
დაე რაც სურდეთ, ისა სთქვან,
ერიდე მათსა სჯასაო,
მრავალი წაუხდენია
უგუნურ, ბრიყვულს თქმასაო.
ამ ცოტა ხანში, ლამაზო,
მოვრჩებით ანეულსაო,
მოვალ და წამლად ვექმნები
შენსა მკვნესარე გულსაო!..
ტოროლავ, შენი ჭირიმე,
გთხოვ, ამისრულე ესაო,
თორემ უმისოდ გახშირდა
ჩემის გულისა კვნესაო!..

დ. ნინოწმინდელი.

1895 წ.

### იაკობის მტრედი

(ფანტაზია)

როდესაც გრძნობა დამტკბარმა იაკობმა, გატაცებულმა ბავშვურის გულ-წრფელობით და უმანკოებით, ახლად დაბადებულს ქრისტეს თავისი საყვარელი მტრედი შესწირა, სხვათა შორის გულით შეევედრა: „მშვენიერო პაწაწინავ! მიიღე ესე ჩემგან, იყოლიე განუშორებლად და მოუარე; დაატკბე და გაახარე შენი ალერსით, ნუ მოაწყენ უჩემობით ჩემგან განებიერებულს და მოიშორე იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც შემიძულო, ანუ ორგულად დამსახო!“

ამ სიტყვებით მან საშინელის გულმხურვალებით ამბორ-ჰყო ციურის ელვით დაშვენებულს ყრმას...

განთიადისას პატარა იაკობის უმანკო მსხვერპლს ახლად დაბადებულის მცველად გარდმოშვებულმა ნათლის სვეტმა ჩააბა სხივი და ზეცისაკენ აღიტაცა...

—

ერთხელ, როდესაც დიდებული მოძღვარი, სათნოებითა და სიყვარულით აღჭურვილი, სოფელ-სოფელ ჰვლიდა და ავრცელებდა თავისს უკვდავს მოძღვრებას, შეამჩნია, რომ მისი საყვარელი მოწაფე იაკობი, ის იაკობი, რომელმაც ყველაზედ პირველად მას თაყვანი სცა და სრულის სასოებითა და აღტაცებით უამბორა; რომელმაც შესწირა პირველი მსხვერპლი—პატარა, მშვენიერი თეთრი მტრედი—საშინლად დანაღვლიანებული იჯდა წყლის პირად და ცრემლი მორეოდა...

— მშვიდობა შენდა, ღვთისნიერო იაკობ! მარქვი გულახსნილად—რამ დაგაღონა და რამ გამოიწვია შენს თვალებზედ ცრემლი სიმწარისა და სინანულისა? დაეკითხა სჯულ-მდებელი იაკობს.

იაკობმა ჩვეულებრივ მდაბლად თაყვანი სცა მოძღვარს და უნდოდა არ გამოეაშკარავებინა თავისი ნაღველი, მაგრამ ერთის მხრით მისმა მართალმა ბუნებამ, რომელიც არ იყო ჩვეული ერთი ეფიქრა და მეორე ეუბნა და მეორეს მხრით იმ რწმუნებამ, რომ ქრისტემ. როგორც ღმერთმა უკვე იცოდა ვითარება მისის სულისა, მხოლოდ მოელოდა თვით მისაგან ჩვეულს გულახსნილს პასუხს, მის განზრახვას ხელი შეუშალეს და გულახსნილად უპასუხა:

— გამახსენდა, მოძღვარო, პირველი ჩემი შენდამო ვედრება, ჩემი

იმ ადგილებში, სადაც დღეს მხოლოდ ბოროტების მორევი დუღს და გადმოდის ხალხის დასაღუპად.

*** ქიზიყი: წარსულ შემოდგომის აუდარებელი ავდრების მიზეზით ძალიან ნაკლები ნახნავებია წელს სხვა წლებთან შედარებით. ისეთი დიდი თავვიანობაა წინამხარში, რომ ჯეჯილს მიწის-პირად სძოვს პირაღებით. შარშანდელი სულადი დიდძალია ქიზიყში და იაფათაც ფასობს. ჯერ-ჯერობით, მაგრამ თაგვმა თუ ზაფხულამდის გაახწია, დიდ ზარალს მისცემს მოსავალს და, უეჭველია, სულადის ფასიც აიწევს.

*** გორი: წარსულ ქრისტიშობისთვის 22-ს აქაურ საქალებო სასწავლებელში წლიური დღესასწაული იყო გამართული. სასწავლებლის დარბაზში 12 საათზე კარგა ბლომად შეიკრიბა ადგილობრივი საზოგადოება. პარაკლისის გარდახდის შემდეგ წაკითხულ იქმნა სია იმ მოწაფე-ქალებისა, რომელთაც წარსულის წლის განმავლობაში კარგის სწავლითა და ყოფა ქცევით თავი გამოიჩინათ. ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა მეოთხე კლასის მოწაფე თამარა ფურცელაძე, რომელმაც მიიღო პირველი ხარისხის ჯილდო: ერთ მშვენიერ წიგნში მოთავსებული მთელი თხზულებანი პუშკინისა. მეორე ხარისხის ჯილდო, ანუ ქების ფურცელი მიიღეს შემდეგმა ქართველმა ქალებმა: თამარა ფანიაშვილმა, ნინა ფანიაშვილმა, ნინა თაქთაქიშვილმა, ანნა სოლოგოვმა, ალ. ნებიერიძემ, თამარა ლომოურმა, ნინა ლომოურმა, ანნა კოკელიძემ, ჩარკვიანმა და გოდერძოვმა.

## ნაწყვეტი.

### IV

...რადგან წინა წერილში კონებრივ დაქვეითებაზე სიტყვა ჩამოვაგდე, თავად-აზნაურობას გვერდს ვერ ავუხვევ: იგი ყოველ გვარ საქვეყნო საქმეში მეთაური ჰყოფილა და, სამწუხაროდ, აქაც ეს უპირატესობა დაირჩინა.

თითქმის ორმოც-და-ათი წელია, ჩვენი თავად-აზნაურობა მხოლოდ იმასა სცდილობს, როგორმე თავისი ქონება შეამციროს, შეასუსტოს, ბოლო მოუღოს. მართალია, ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებია, მაგრამ ძალიან დაუახლოვდა-კი იმ მდგომარეობას, როცა შესაძლოა ყოველ-დღიურ საგალობელად გაუხდეს „მამაო ჩვენოს“ სიტყვები: „პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“, თუ სხვა რამ ღონე არ იღონა, სხვა გზას არ დაადგა.

დღემდი სამსახურის იმედი გვქონდი, სამსახური კეთილ-დღეობის საუკეთესო წყაროდ მიგვაჩნდა: იმას ეტანებოდენ, იმისათვის ემზადებოდენ, სწავლობდენ, ჰფიქრობდენ, ცდილობდენ, ხარჯობდენ; ვინც სამსახურში არ არის, რა კაცია?. სიმართლე უნდა ვსთქვათ, ყოველ გვარ ასპარეზზე გზა ფართოდ გაშლილი გვქონდა, ყველგან სასურველნი, სანატრელნი ვიყავით—სამოქალაქო ნაწილი ყოფილიყო, გინდ სამხედრო; სამხედრო საქმე ხომ ჩვენი ხელობაა: აქ ტოლი არ გვყოლია: გვაწინაურებდენ, გვაჯილდოებდენ, გვასაჩუქრებდენ მაგრამ იმდენი სარგებლობა და ხეირი არ ყოფილა, რამდენიც ოჯახს აკლდებოდა; სამსახურს ბევრი არ ვინ აუშენებია, უმეტეს ნაწილმა თავიანთ მამა-პაპეულიც ზედ წააჭყლიტა. ახლა ეს გზაც გადავველობა—დავრჩით რიყეზე. ვინ გვწამებს ცილსა, ვინ გვიკარგავს ამდენის ხნის ნაერთგულევს? წარმოიდგინეთ, სხვათა შორის ისიც ვისგანაც სრულიად არ მოველოდით, ვინც სულგრძელი გვეგონა, ვიზედაც ვფიქრობდით, საუკეთესო, კაცთმოყვარე გრძნობებით არის გამსჭვალულიო, ესე იგი რუსეთის განათლებული წარმომადგენელნი,—ისინი ვინც საზოგადოების მოსაზრებას, გრძნობას და თვის ჭკუას მიმართულებას აძლევს, ვინც საზოგადოებას გონებით საზრდოს აწოდებს—მწერლობა—ეგ სიმართლის და ჭეშმარიტების მთესველი!! ამის შემდეგ ვისგან ან რა კეთილს უნდა მოველოდეთ?

ერთის მხრით სამსახურმა და მეორეს მხრით ვორონცოვის დროს შემოღებულ უცხო ჩვეულებებმა ისე რიგად გაუხსნა უმაღლეს წოდებას ხარჯვისა და ფლანგვის მადა, რომ ერთმანეთს ეცილებოდნენ ვინ უწინ დავიღუპოვო. როგორც ჭია-ღუები ზაფხულის ღამეს სანთლის ალს ეტანებიან და იწვიან ისე დაეხვია ჩვენი თავად-აზნაურობა მეორმოცე წლებში შემოტანილ ევროპიულ ცხოვრების სხივს რომელსაც, მართალია, არვინ დაუწვავს, მაგრამ უმეტესობა ისე დააბრმავა, რომ ვერ შეამჩნია, რა საფთხეს დაუახლოვდა იგი; ეგ საფთხე ვალი იყო, და ვალის აღებაც პრიკაზმა გააადვილა.

ამას ბატონ-ყმობის გაუქმებაც მოჰყვა: მუქთი მშრომელი, მუშა, მოსამსახურე მოაკლდა ოჯახს, უიმისოდაც ვალებით დატვირთულს.—გლეხების პირადის თავისუფლებისათვის მებატონეს ხაზინამ ფული მისცა,—რამოდენიმე მილიონი აიღო თავად-აზნაურობამ. იქიდამ ორიოდე გროში დასტოვეს და ბანკები გახსნეს; დანარჩენი ისე გაუწყალდათ, რომ არც სულსა ჰრგებია და არცა ხორცს. ბანკები აგვაშენებსო ფიქრობდნენ: ბანკებმაც კარგა ბლომად გასცეს ფული; ხოლო ეს ფულიც სადღაც უნაყოფოდ გაჰქრა; უწინდელი ვალები ვალებად დარჩა და ახალიც ზედ დაემატა. გრძელ ვადიან სესხს დანიშნულებად აქვს, მამულს მოხმარდეს, გააუმჯობესოს, შემოსავალი შეჰმატოს და შეაძლებინოს თავნისა და სარგებლის წვრილ-წვრილად გადახდა. სამწუხაროდ, ჯერ არვისგან გამიგონია ბანკებიდან აღებული ფული მამულის განკარგებას მოვახმარეო; ორიოდე მაგალითი ეგებ იყოს კიდეც, მაგრამ ეს რა მოსაყვანია.

აი, ეს არის ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა: რამ უნდა გვიშველოს? რა საშუალება უნდა ვიხმაროთ რომ საიმედო მერმისი გვექნეს? ეს საკითხავები ყველას აფიქრებს, ყველა ცდილობს წყლულის განმაკურნებელი მალამო იშოვოს და მით ქვეყანას ხიფათი და განსაცდელი ააცილოს. ამ უკანასკნელ წლებშიო საზოგადობაშიაც და მწერლობაშიც მრავალგვარი აზრი წარმოითქვა. ყოველ დასაბუთებულ აზრს დიდის პატივისცემით ვექცევით, მოყვარეს ეკუთვნოდეს იგი, გინა მტერს. ამ მოკლე ხანში ვეცდებით, გავითვალწინოთ ამ საგნის შესახებ ნათქვამი და ჩვენი აზრიც ზედ დავსძინოთ.

დავიწყებული მწერალი.

## კორესპონდენცია.

გორი. წარსულ ქრისტიშობისთვის 16 ს აქაურ სცენის მოყვარეთ საქველმოქმედო მიზნით გამართეს ქართული წარმოდგენა. შემოსავალი დანიშნულ იყო გორულ საქალო სასწავლებლის სასარგებლოდ, რომელიც კარგა საგრძნობლად დაზარალეს წლევანდელმა ავდარნიაღვრებმა. კაი ხანია ჩვენს გურთხეულ ქალაქში ქართული წარმოდგენა აღარ ყოფილა. რათა? რა მიზეზით? იმავე მიზეზით, ჩემო ბატონო, რის გამოც ყველგან, სადაც-კი ;სამიოდ-ოთხი ქართველი ერთად შეიკრიბა, იქ უსათუოდ ჩამოვარდება უსიამოვნება, უთანხმოება; უთანხმოება არა პრინციპებისა, არა ზოგად, საქვეყნო მისწრაფებათა გამო, არამედ აშენებული ბალღურ, სულელურ თავმოყვარეობის ნიადაგზე. „ისროგორ ღაც არ მომწონს მე!.. ის რათ უნდა იყვეს მოთავე ამა და ამ საქმისა და არა მე?.. იმას სწორედ რაღაც უძევს გულში...“ აი, მოკლეთ რომ ვთქვათ, ის უბადრუკი აზრები, რომელნიც ამოქმედებენ ამ გვარ კაპიტონებსა და რომელთაც არა ერთხელ აურ-დაურევიათ უამისოდაც დაქვეითებული მოქმედება ჩვენი საზოგადოებისა. ყოველი ხე თავის შესაფერ ნაყოფს გამოიღებსო. ზემოთ დასახელებული სულიელური აზრები არა რჩებიან უშედეგოთ: იმათ მალე ამოუდგებიან ხოლმე გვერდში სხვა-და-სხვა ფერის გაიძვერაობა, ერთმანეთის დაუნდობრობა, ზურგთ უკან საზიზღარი, უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა, უაზრო და უმიზნო, მაგრამ გულის დამწველი ხელის შემშლელი წვრიმალი წინააღმდეგობა ერთმანეთისა... და ყველა ამას მოსდევს განცალკევება, უზრუნველობა, სასოების წარკვეთა მაშინ, როდესაც ასე საჭიროა ერთობა, დაუცხრომელი მუყაითობა და „ჭირსა შინა ქვითკირივით გამაგრება.“ ამგვარმა წვრილმა უთანხმოებამ, ცოტათ თუ ბევრათ, არა ერთხელ იჩინა თავი ჩვენს პატარა საზოგადოებაშიაც, არა ერთხელ გადაასხა თავისი ღვარძლიანი გესლი მის წევრთა საზოგადო მუშაკობას!.. ამის გამო ბევრმა დაინახა სამჯობინოთ—შეკეტას კარისა და თავისთვის, განცალკევებით შრომა-ცხოვრება. მაგრამ ასეთი მდგომარეობა მეტის-მეტად მავნებელია როგორც ყოველი ჩვენთაგანისათვის, ისე, მომეტებულად, საზოგადო საქმეებისათვის. დროა, დროა რომ გორელმა ახალგაზდობამ მტკიცედ მისცეს ერთმანეთს ხელი, გონივრულის დახმარებით გაამღავრონ ერთმანეთი და მით მრავალ სხვა-და-სხვა საგულისხმიერო, სასარგებლო განზრახულებათ მისცენ სასიქადულო გზა და კვალი წინ სვლისა, განხორციელებისა.

წარმოადგინეს „ოროსანი და ლეკი“ და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“. ორივე ეს პიესები უაზრო, უშინაარსონი. მაშასადამე ძებნა მათში რაიმე საგულისხმიერო დედა-აზრისა სრულიად უნაყოფოდ დარჩება. ამიტომაც მათი წარმოდგენით არც სულსა და არც ხორცს, არც გრძნობასა და არც გონებას ოდნავ ტოლა სარგებლობაც-კი არ მიუკუთნება. მათში არ მოიპოვება თითქმის ერთი ისეთი აზრი მაინც, რომელსაც შეეძლოთ ამაღლება, განსპეტაკება ადამიანის ფიქრისა, მისწრაფებისა. სამაგიეროდ, მრავალია მათში ისეთი სიტყვა-მოქმედებანი, რომელნიც თქვენა, პირუტყვულ ვნებათა ღელვას ემსახურებიან და მით პირდაპირი ვნება მოაქვთ მაყურებელ საზოგადოებისათვის. მხოლოდ ორთავე ამ პიესებს ერთი შესამჩნევი ღირსება აქვთ, რომელსაც ყოველ საზოგადოების ცხოვრებაში მცირედი პსიხოლოგიური მნიშვნელობა არა აქვს. მე მოგახსენებთ იმ განუწყვეტელ სიცილ-ხარხარზე, რომელიც მისდევს თავიდამ ბოლომდისინ ამ პიესების წარმოდგენასა. ათასნაირი ვარამი, მრავალი სხვა-და-სხვა გვარი სამწუხარო მოვლენანი შავად ჩამობნელებულ სავედრო ღრუბლივით დასწოლიან თანამედროვე ადამიანის სულსა და გულსა. იგინი უკლავენ ადამიანის გონებას წინ სვლისა, განვითარების ხალისსა; იგინი ასუსტებენ, ფუთებს უკვეცენ ადამიანის მხნეობასა, ვაჟკაცობასა, გაბედულობასა; ისინი მოსვენ სამგლოვიარო თალხებით არა მხოლოდ აწმყოსა, არამედ უბედობის ბნელს აყენებენ იმ ვეებერთელა, დახატულ, ვეთილ მტრედსაც, რომელიც განუწყვეტლივ დანავარდობს აწმყოსა და მომავალს შუა და რომელსაც ჩვენ ქართველები, იმედს ვეძახით. ამგვარ ყოფაში ჩავარდნილ ადამიანისთვის სრულიადაც არ არის უმნიშვნელო—რამდენისამე საათის განმავლობაში მხრებიდამ მოშორება ამ მძიმე ტვირთისა და უზრუნველად მხიარულება, სიცილ-ხარხარი. ეს სიცილი, ეს მხიარულება დარდსა და ვარამს უკარგავს ადამიანსა, მწუხარების

---

საყვარელი მტრედი და გული მომიკვდა...

— როგორ? განა შენმა უმანკოებამ, შენმა წრფელმა გრძნობამ, შენმა კეთილმა შენშივე სინანული გამოიწვია?!.

— არა, მამაო! მიუგო სწრაფად ამგვარის მოულოდნელის კითხვით შემკრთალმა იაკობმა. იმან სინანული-კი არ გამოიწვია ჩემში, არამედ უიმედობის სხივი შემომაპარა და სულის მღრღნელი იჭვი შემატანია ჩემს თავზედ.

— რადა?

— მისათვის, უფალო, რომ ჩემი მტრედი შენ უნდა გხლებოდა განუშორებლად მანამდის, სანამდის არ შემიძულებდი და ორგულად არ დასახავდი!.. ეს უკანასკნელი სიტყვა საშინელის შიშის ზარით წარმოსთქვა..

— მახსოვს... სათნოებით უთხრა მაცხოვარმა.

— როგორ, მეუფეო? მაშ სად არის ჩემი მტრედი?

— ჩემთან!—მიუგო მაცხოვარმა—მე ვარ იგი და იგი იყო მე...

იაკობი სდუმდა და განცვიფრებით მისჩერებოდა მოძღვარს; სიტყვები დიდებულის მაუწყებელისა ვერც გაეგო და კიდევაც გულს უხარებდა, უნეტარებდა; არ იცოდა რაღა ეთქვა—ჩამოვარდა სიჩუმე.

— დამშვიდდი? აღმოიფხვრა შენის სიყვარულითა და მადლით აღსავსე გულიდამ იჭვი, უიმედობა?

— ჯერ სრულად არა, მეუფეო, თუმცა შენმა საიდუმლო პასუხმა სხივი საღვთო იდუმალობისა მომივლინა და გულმა ჩემმა იმედის სიმებისაკენ გააწვდინა ხელი!.. მიუგო სათაყვანებელისა და სამადლობელის ღიმილით იაკობმა და დაუმატა: თუმცა გამოცანა ვერ ამიხსნია!

ვერ ამიხსნია მისათვის, რომ ის მშვენიერი მტრედი ორის წლით ადრე დაიბადა ჩემს სახლში შენს ღვთიურს მოვლენამდის; ის იყო ჩემი პირველი ალერსი და ბედნიერება? ის იყო ჩემი პირველი. მსხვერპლი, რომლითაც, უფალო, მე შენ სათაყვანოდ აღვირჩიე...

— არა, იაკობ, ის იყო პირველი ჩემი კურთხევა, რომლითაც მე შენ ჩემს საყვარელ ძმად და მოციქულად აღვირჩიე; ის იყო მყობადი იმ დაუვიწყარის მომავალისა, რომელიც შენს პირველს ამბორში დაისახა და რომელმაც განუყრელად შეგვაკავშირა; ის იყო პირველი მაუწყებელი წაწყმედისაგან ქვეყნის ხსნისა და შველისა!..

საყვარელი მოწაფე კიდევ მეტმა ნეტარებამ შეიპყრო, თუმცა გამორკვევით-კი ვერ გამოირკვა.

— დამშვიდდი! განფანტე ნისლი სამწუხარო სულის კვეთებისა და განურკვეველის ფიქრთა მდინარეობისა და სიტყვანი ჩემნი ცხად იქმნებიან შენთვის დღესა ჩემ მიერ ნათლის ღებისა..

იაკობმა თაყვან სცა მლოცველს და იმედნეული გაჰყვა თან...

---

ნათლის ღების დღეს იაკობის საიმქვეყნო გულისძგერა გაათკეცდა; მოლოდინი მაცხოვრის დაპირებისა, რომელზედაც დამყარებული იყო მისი სიცოცხლე და ნეტარება, მისი იმედი და სიხარული, ანუ მისი სიკვდილი და წაწყმედა, ერთსა და იმავე დროს კიდეც აიმედებდა და კიდეც აშინებდა; მთელი მისი არსება ორად იყო გაყოფილი: ერთი ჰსახავდა სასოებით, სიყვარულით და სათნოებით გაბრწყინვებულს, ღმერთზე მოიმედე იაკობს და მეორე—შიშისა და ვაების ზარით შეპყრობილს ადამიანს, რომელსაც გამოცანის ახსნით აღშფოთებული გონება ჯოჯოხეთისაკენ უშვერდა ხელს... ამ ორგვარობას სულისას უხილავის, მაგრამ დაუმზღვრეველის ჯაჭვებით შეებორკა სასტიკად იგი და ქვის ქანდაკს დამსგავსებულს მავედრებელი თვალები მაცხოვრისაკენ მიეპყრო... ქრისტე ხმას არ იღებდა და არც უყურებდა მას. იგი სათნოებითა და სასოებით იხდიდა სამოსელს მრავალთა წინაშე იორდანეში ჩასადგომად... არც იაკობის მტრედი სჩანდა სადმე... იაკობი ისევ ისე უძრავად იდგა და იტანჯებოდა... დადგა საშინელი წამი!.. ხელ-მოჰდობილი და თავ-დახრილი მოძღვარი მდინარე იორდანეში შევიდა... მთელმა ერმა ხმა გაჰკმინდა ისე, როგორც ერთმა და ამ ერის სულის გაკმენდას მთელმა ბუნებამ დასტური დასდო და სული განაბა: ყველა და ყოველივე უხილავმა ძალმა სასოებისამ ერთად შეჰკრა, ერთსულად და ერთგულად აქცია და ეს საერთო ზვარაკი ფიანდაზად გაუშალა დიდებულის მოძღვრის თვითოეულს ნაბიჯს...

ამ დროს ციერთა გალობამ დაასალბუნა მთელი ქვეყანა და გულის წარმტაცს ანგელოსთა ღაღადს მოჰყვა ცის ელვა: ცა ორად გაიხსნა და იქიდამ მოისმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელ“... ამ სიტყვებით მოძღვრის სასოებითა და ლოცვით დახრილს თავს დააჯდა სხივ-მოსილი მტრედი...

იაკობმა აღტაცებით შეჰყვირა და იმედნეულის ქვითინით დაემხო ნათელ მიღებულ მაცხოვრის წინაშე...

გრ—ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟანგს აცლის მის სულსა და გულსა! მართალია, ესეთი მდგომარეობა მალე გამოიცვლება, სწრაფად გაირბენს, მაგრამ ეს არაფერი! მისი კვალი, რაც უნდა იყვეს, მაინც დარჩება ადამიანის გულშია და ესეც კმარის, საკმარისია, რომ გულწრფელად შევწიროთ მადლობა უფალსა!

თვით წარმოდგენა საუცხოვოდ გათავდა. ცხადია რომ ყველა ის პატივცემულნი პირნი, რომელთა მეცადინეობით შესრულდა ეს წარმოდგენა, სინიდისიანად მოეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. მართლაც-და, ყველანი ისეთის ხელოვნებით თამაშობდნენ და ამგვარის თამაშობით ისე გაიტაცეს უურადღება მთელი მაყურებელი საზოგადოებისა, რომ ვერც ერთმა ამ საზოგადოების წევრთაგანმა ვერ შენიშნა პიესების შინაარსის სრული სიღატაკე. სწორე მოგახსენოთ, აფსუსი იყო, რომ ამისთანა ღირსეულ მოთამაშეთ შესაფერი პიესები ვერ მოეპოვებინათ წარმოსადგენად!

დიდი შემწეობა აღმოუჩინა ამ წარმოდგენას პატივცემულმა პოლკოვნიკმა გ. ა. სარაჯევმა, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო მოხსენებულ სცენის მოყვარეთ როგორათაც სამხედრო კლუბის დარბაზი, აგრეთვე მუქთად დადგმული, დამზადებული სცენა. ღირსია აგრეთვე პატივისცემისა ბ. არ. კალანდაძე: ამან უფასოდ, საკუთარს ქაღალდზე, დაბეჭდა ბილეთები და განცხადებანი.

სრული შემოსავალი იყო 130 მანეთამდე; აქედამ დაიხარჯა 40 მან. დანარჩენი 90 მან. გარდაეცა პროგიმნაზიის მთავრობას.

არბოელი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

ბ. გუნიას წრევანდელს კალენდარში ერთი საყურადღებო ბიოგრაფია არის—ზ. ზ. ჭიჭინაძისა.

ბ. ზაქარია ჭიჭინაძემ თურმე გაიცნო 1876 წ. „დროების“ რედაქტორი და აქედამ იწყება მისი მოღვაწეობა წიგნების გამოცემის შესახებ.

„ჯერ ახლაც,—ამბობს ბიოგრაფიის დამწერი,—რომელი ქართულის წიგნების გამომცემელი ჰხედავს ხეირსა, რომ ზაქარიას ამ ოცის წლის წინად ენახა ხეირი ამ გზითა? ისეთი დრო იყო, რომ წიგნებს არამც თუ მუშტარი არა ჰყავდა, მუქთადაც რომ გერიგებინათ ოცს კაცში ერთი თუ წაიკითხავდა. ზ. ჭიჭინაძემ ამ ოცის წლის განმავლობაში 200 მეტი სხვა-და-სხვა სახელწოდების ქართული წიგნი დასტამბა.

ეს ოთხი წელიწადია ზ. ჭიჭინაძემ ზაფხულობით მოგზაურობა დაიწყო აჭარაში, რათა იქაურ მაჰმადიან ქართველების ცხოვრება და მდგომარეობა გაგვაცნოს. ყველას ახსოვს მისი საინტერესო წერილები „ივერიაში“ დაბეჭდილები, ამ მხარეში მოგზაურობის შესახებ. დიდი შნო, დიდი უნარი, დიდი ოსტატობა გამოიჩინა ზ. ჭიჭინიძემ ამ მოგზაურობაში და მათთან ისე დაშინაურდა, რომ ქართული წერა-კითხვა შეასწავლა, შეაგნებინა, რომ ისინიც ქართველები არიან.

ამ რიგად წრეულს შესრულდა 20 წელი ბ. ჭიჭინაძის მოღვაწეობისა. მართალი მოგახსენოთ, დიდად პატივსაცემელი და დასაფასებელია მისი უანგარო, თავ-განწირული შრომა და მასთან შრომა, რომელიც მეტად სასარგებლო იყო და არის მთელის ჩვენის ერისათვის. განსაკუთრებით მისი უკანასკნელი წლების მოღვაწეობა სამაგალითოა და მისაბაძავი. ეს ერთი იმ მშვიდ მშრომელთაგანია, რომელნიც თუმცა ქუხილითა და ჭექით არ გვაყრუებენ, მაგრამ სამაგიეროდ დიდად ერთგულად, მხნედ და ნაყოფიერად შრომობენ. ვუსურვებთ მას ხანგრძლივს სიცოცხლეს ამ კეთილის შრომის განსაგრძობად.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— გაუგონია ვისმე გაშინაურება პეპელასი? არა გვგონია გაეგონოს და თურმე ნუ იტყვით ამ მფრინავ მწერსაც-კი იმოდენა გონება, ხსოვნა და გრძნობა ჰქონია, რომ ალერსიანად მზრუნველობა ამასაც თურმე ატკბობს და ინადირებს. გარდა ამისა, თვისის მზრუნველის და მოალერსის სახის დახსომებაც სცოდნია და მისი ცნობა და სხვათაგან გარჩევაც შესძლებია, და არამც თუ გარჩევა, მისი სიყვარულიც-კი.

ერთის ინგლისის ჟურნალის თანამშრომელი ქალი აი ამის თაობაზე რას მოგვითხრობს: „მე ჩემს ბაღში ერთი მშვენიერი პეპელა ვიპოვე, სიცივისაგან ისე დაზრული, თითქო გაშეშებულიაო. ავიყვანე, შინ წამოვიღე და ჩავსვი ქაღალდის პაწია ყუთში. ორს საათს შემდეგ პეპელა გათბა და გამოცოცხლდა. მინდოდა სრულიად გადამერჩინა სიკვდილისაგან და ცოცხალი შემენახა. შაქარ-წყალი გავაკეთე და დავუდგი, პეპელა ამასა სვამდა წოწვნით. სამი დღე ასე ვუვლიდი. მეოთხე დღეს თვითონ მომაფრინდა, დამაჯდა ხელზე და ამ შაქარ-წყალს ჩემის ხელიდამ ნწოწნიდა. ამ დღეიდამ მე და პეპელა დავმეგობრდით. რომ უფრო სასიამოვნო ყოფილიყო მისთვის, მთელი ოთახი, საცა ისა მყავანდა, ყვავილებით მოვრთე. დამინახავდა თუ არა, მაშინვე მომვარდებოდა, ხან ხელზე, ხან მხარზე დამაჯდებოდა, თითქო ამით მადლს მიხდისო. თუ სტოლზე დავსვამდი და ნაზად თითს გადუსვამდი ტანზე, არამც თუ ამის ნებას მაძლევდა, პირ-იქით, ზურგს აიწევდა ისე, როგორც კატამ იცის ნიშნად სიამოვნებისა, როცა უალერსებენ ხოლმე. თუ დავაპირებდი წასვლას, თავს ჩემკენ მოიბრუნებდა, თითქო მეხვეწებოდა, ნუ მიდიხარო. სამს კვირაზე ისე გამიშინაურდა, რომ ხელზე მეჯდა და ოთახიდამ ოთახში ვატარებდი სტუმრების საჩვენებლად. ჩემდა სამწუხაროდ, მალე გამოაჩნდა ნიშნები დაბერებისა. ღია, მხიარული ფერი გაუხუნდა, ტანში მოიკუნტა, მადა მოაკლდა. მთელი ათი დღე მე-და ვკვებავდი, როგორც ძუძუთა ბაშვს, მე ვწმენდდი რბილ თივთიკითა, რომელსაც თბილ წყალში ვასველებდი. საბრალო არსად არ ისვენებდა, თუ არ ჩემს ხელზე. არსად გული არ უდგებოდა. თუ სხვა ადგილს გადავსომდი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა არა ჰზოგავდა, რომ ჩემამდე მოსულიყო. უკანაკნელ, მთელი ოც-და-ოთხი საათი ჩემთან იყო და ჩემს ხელზე დალია სული.“ (ნ. ვ.)

## უცხოეთი

—

**ამერიკის შეერთებული შტატები და ოსმალეთი.** გაზეთი „ნიუიორკ ჰერალდ“ სწერს, რომ შტატების მთავრობას გარდაუწყვეტია, თუ საჭიროება მოითხოვს მიჰმართოს ძალას და გარდაახდევინოს ოსმალეთს ის ზარალი, რომელიც მოუვიდათ ამერიკის მისსიონერთ მცირე აზიაში. გარდა ამისა გარდაუწყვეტია მოსთხოვოს ოსმალეთს რაიმე გარანტია, რომ მომავალში აღარ მოხდეს ამგვარივე აკლება ამერიკის მისსიებისა. სანამ ამერიკა საზღვაო დემონსტრაციას მოახდენდეს, ბეისს წარუდგენია ფორმალური წინადადება პორტასათვის, რომლით სთხოვს ზარალის შევსებას და ხსენებულის გარანტიის აღნიშვნას.

—

**იაპონია და ფორმოზა.** თუმცა ფორმოზას კუნძული სიმონოსეკის ხელშეკრულობის ძალით იაპონიას გარდასცა ჩინეთმა, მაგრამ, როგორც მკითხველებმა იციან ფორმოზას მკვიდრნი აჯანყდნენ და არ ემორჩილებიან ახალს მთავრობას. იაპონიასა და ფორმოზას შორის ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა. უკანასკნელის ცნობებიდამ სჩანს, რომ იაპონიას ძალიან უჭირს კუნძულის დაპყრობა. იოკაჰამიდგან დეპეშა იტყობინება, რომ ამ მოკლე ხანში იაპონიიდამ დიდ-ძალი ჯარი გაიგზავნა კუნძულზეო.

—

**საფრანგეთი.** დეპეშამ შეგვატყობინა გუშინ საფრანგეთის გამოჩენილის პოლიტიკურ მოღვაწის ფლოკეს გარდაცვალება. ფლოკეს დიდი სამსახური მიუძღვის საფრანგეთის წინაშე და ამიტომ არ იქნება ურიგო მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მივაწოდოთ მკითხველებს.

შარლ-თომა-ფლოკე დაიბადა 1828 წელს, მაშასადამე გარდაიცვალა 68 წლისა. უმაღლესის სასწავლებლის დასრულების შემდეგ, ფლოკემ დაიწყო ადვოკატობა პარისში და მალე გაითქვა სახელი დიდად ნიჭიერის მჭევრმეტყველისა. 1871 წელს ფლოკე აირჩიეს „საერო კრების“ წევრად და შემდეგ, 1876 წ., დეპუტატად პარლამენტში, სადაც მიემხრო უკიდურესს მემარცხენეთ. 1885 წელს ფლოკე აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარედ. 3 აპრილს 1888 წ., როდესაც ტირარის სამინისტრო გადადგა, ფლოკემ შეადგინა ზომიერ რადიკალთა კაბინეტი. სახიფათო დროს მოუხდა პრემიერობა ფლოკეს. საფრანგეთში მაშინ გაძლიერდა ბულანჟიზმი, რომლის გამარჯვება დიდს განსაცდელში ჩააგდებდა ქვეყანას. ფლოკე მედგრად შეებრძოლა ამ მავნე მოძრაობას. დუელიც-კი მოუხდა ბულანჟესთან, რომელშიაც დაამარცხა იგი. 14 თებერვალს 1889 წლისა მან შეიტანა პარლამენტში კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც საფრანგეთის კონსტიტუციის პარაგრაფები უნდა გადაეთვალიერებინათ, მაგრამ პარლამენტმა კანონ-პროექტი უარ-ჰყო და ამიტომ ფლოკემ სამსახურს თავი დაანება. იმავე წლის ნოემბერში ხელახლად აირჩიეს პარლამენტის თავმჯდომარედ და ამ ადგილზედ დარჩა 1893 წლის 10 იანვრამდის. ამ ხანში-კი იგი დეპუტატად აღარ აირჩიეს, რადგან პანამის საქმეში გარიეს. მიუხედავად ამისა იმავე წელში სენატორად იქმნა არჩეული.

—

**ტრანსვაალის საქმეები.** როგორც უკანასკნელად მომხდარ ამბებიდამ სჩანს, ტრანსვაალის ინციდენტი იმითი სრულდება, რომ იგი გამწვავებულ მდგომარეობიდამ გამოდის. იოჰანნესბურგის მცხოვრებთ იარაღი დაჰყარეს და vitlander'-თა შორის მოძრაობის მოთავენი დააპატიმრეს. მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მაგრამ მომხდარმა ამბებმა მაინც დასტოვეს თავისი ნიშნები მომტრეთა შორის. ის უნდობლობა, რომლითაც ბოერები უცხოელებს ეპყრობოდნენ წინად, დღეს უფრო გაძლიერდა. უცხოელნი მტრობის მეტს ვერაფერს ვერ უნერგავენ გულში ბოერებს, რომელთაც ძალით უპირებდნენ პოლიტიკურ უფლებათა წართმევას. ბოერებს დამოუკიდებლად ყოფნა ჰსურთ. თუ რომ მათ მოსვენებას არ აძლევს აზრი, რომ ტრანსვალი ინგლისს ან chartered company-ს სპეკულიატორებს ჩაუვარდება ხელში, იმდენადვე მცირედ ანუგეშებს მათ მომავალი გერმანიის პროტექტორატობისა, რომელზედაც ჟურნალ-გაზეთები კიდევაც ლაპარაკობენ. ტრანსვაალის მთავრობა უმჯობესად სთვლის ინგლისთანა და uitlander'-ებთან მშვიდობიანად შეთანხმდეს. ამ აზრით, როგორც გაზეთები ამბობენ, ძნელია საერთაშორისო კონფერენცია იქმნას მოწვეული, რადგანაც ინგლისი უარს იტყვის და ამ კონფერენციაში მონაწილეობას არ მიიღებსო. რომ ბოერების მთავრობას განზრახვა აქვს შესარიგებელი საშუალებები იხმაროს, ამას ამტკიცებს ერთის მხრივ ის, რომ მან ჯემსონი და მისი რაზმი მისცა, და იოჰანნესბურგის მცხოვრებთ, რომელთაც იარაღი დაჰყარეს, ამნისტია გამოეცხადათ, მეორეს მხრივ ის, რომ პრეზიდენტი კრიუგერი იწვევს მოქალაქეთ დაეხმარნენ „რესპუბლიკა ისეთ მხარედ გარდაჰქმნან, სადაც ყველა ერს ძმურად შეეძლოს ცხოვრება“. „uitlander'-თა ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ხომ ამ ჟამად ლაპარაკიც-კი სულ მეტია.

როგორც კრიუგერი დაჰპირდა, ჯემსონი და მისი თანამონაწილენი ინგლისის მთავრობას გარდაეცემიან. ყველა ამათ ინგლისში დაჰსჯიან; დაჰსჯიან არა მარტო იმისთვის, რომ ტრანსვაალს შეიარაღებულნი დაესხნენ, არამედ მისთვისაც, რომ არ აღასრულეს თავისს უფროსების ბრძანება. არავინ იცის, რამდენად სასტიკი იქმნება იგი სამართალი და არც თუ მოსალოდნელია, რომ სასტიკი იყოს. შეურყეველს ენერგიასა და სიმამაცეს, რომელიც ჯემსონმა გამოიჩინა, განცვიფრებაში მოჰყავს თვით ის ნაწილიც-კი ინგლისის ჟურნალ-გაზეთებისა, რომელიც პირ-და-პირ ჰკიცხავს მისს მოქმედებას. შესანიშნავია ის გარემოება, რომ როდესაც ამ დღეებში უარ ჰყვეს გავრცელებული ამბავი, ვითომ კაპიტანი კოვენტრი მომკვდარიყო, რომელიც ჯემსონის რაზმში მსახურებდა, დედოფალმა ვიქტორიამ გულმხურვალედ მიულოცა ეს ამბავი კოვენტრის მშობლებს. უნდა შევნიშნოთ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ გაზ. „ტაიმს“-ის შაბათის №-ში ახალმა სასახლის პოეტმა ალფრედ აუსტინმა ლამაზის ლექსით შეამკო ჯემსონის მოქმედება. სამხრეთ-აფრიკელი „Chartered Companu“, რომელმაც წინადვე ააყაყანა თავის წინააღმდეგ ხალხი, უთუოდ ადვილად ვერ მორჩება. ეჭვი არ არის იგი კონტრიბუციას გადუხდის ტრანსვაალს და მისს პრივილეგიასაც ბევრი რამ დააკლდება. მეგობრულად განწყობილი „ტაიმს“-იც კი იმ აზრს ადგია, რომ კომპანიის მოქმედება მისს გამგეობის ქვეშ მყოფ ტერრიტორიაზე უნდა შეზღუდულ იქმნასო. „ტაიმს“-ის აზრს იმიტომა აქვს მნიშვნელობა, რომ სიტის გაზეთი უფრო ახლო სდგას მთავრობასთან, ვიდრე სხვა რომელიმე გაზეთი. ლიბერალთა და რადიკალთა პრესა თხოულობს, რასაკვირველია, უფრო სასტიკს საშუალებებს კომპანიის წინააღმდეგ, რომელშიაც პრეზიდენტისა, ჰერცოგის ფაიფსა და დირექტორთა გარეშე თავს იჩენენ საკმაოდ შავ-ბურუსიანი საქმეები.

## კაპის ახალშენი და სესილ როდსი.

ამ უკანასკნელის 30 წლის განმავლობაში არც ერთი ქვეყნის ცხოვრების ელფერი არ შეცვლილა ისე, როგორც სამხრეთ აფრიკისა. 60-იან წლებამდის ინგლისის ახალშენების ცხოვრება სამხრეთ აფრიკაში მიყუჩებული იყო. უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა ჰოლანდიელნი იყვნენ, და ინგლისის მთავრობის მოქმედებას ეჭვით უყურებდნენ. მაგრამ, როცა შუაგულ აფრიკაში აღმოჩნდა ოქროსა და ალმასის მადანი, რომელთა ბადალი ქვეყანაზედ არ მოიძევებოდა, ცხოვრება უეცრად გამოიცვალა.

ინგლისიდამ ჩამოვიდნენ მრავალი კაპიტალისტები; მცხოვრებთა რიცხვი დღე დღეზედ მატულობს, ახალი ქალაქები შენდება, მრეწველობა იზრდება და ახალი ძლიერი სახელმწიფოს საფუძველი ჩაიდგა. წარმოიდგინეთ, რომ ყოველივე ამის უმთავრესი მიზეზი იყო ერთი, მხოლოდ ერთი კაცი.

სამხრეთ აფრიკის ახალი ისტორია შეკავშირებულია ამ ხანის უმთავრესი მოქმედი პირის ბიოგრაფიასთან. 1862 ში 14-ი წლის სესილ როდსი ინგლისიდამ გაიქცა სამხრეთ აფრიკაში. კაპში, ის ის იყო აღმოჩნდა ალმასის მადანი, ალმასის მოპარვა და დამალვა ხელობად გარდიქცა, ისეთ ხელობად, რომელიც დიდს შემოსავალს იძლეოდა.

ახალგაზდა როდსი 70-ში დაატუსაღეს ალმასის ქურდობისათვის. მან წინადვე ისეთი სახელი მოიპოვა საზოგადოებაში, რომ სატუსაღოდამ გავლენა იქონია კაპის პარლამენტზედ, რომელმაც ალმასის ქურდებს სრულიად აპატივა დანაშაული და სატუსაღოდამ განათავისუფლა იგინი.

ამის შემდეგ როდსმა რამდენიმე კამპანია შეადგინა და ამ კამპანიაში ჩაითრია არა თუ მრავალი კაპიტალისტი, მრავალი მისი წინააღმდეგი პოლიტიკოსებიც. ამგვარად მან პოლიტიკოსების გული მოიგო და რადგან გამდიდრებული მისი წყალობით პოლიტიკოსები მისი აზრების განხორციელებას წინააღმდეგობას ვეღარ უცხადებდნენ, ამგვარად მან კაპის ახალშენის პირველი მინისტრობა იშოვა. მაშინ დაანახვა ყველას, რომ მარტო მოხერხებული აფერისტი-კი არ არის, არამედ სახელმწიფო ჭკუისა და გამჭრიახობის მქონე კაცია. თუმცა ინგლისელი იყო, მაგრამ ჰოლანდიელებს მისცა მხარი და მათ ეროვნების თვით არსებობას იფარვიდა. პირველი მინისტრი იყო და, რასაკვირველია, დიდი ძალა ჰქონდა. ამიტომაც მან იქონია დიდი გავლენა პარლამენტზედ და მიაღებინა ის კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ჰოლანდელმა ენამ მოიპოვა ისეთივე უფლება და მნიშვნელობა, როგორც ინგლისურმა, ეს პირველი ნაბიჯი იყო ჰოლანდელთა და ინგლისელთა უფლებათა გათანასწორობისაკენ, ამასაც მალე მიაღწია როდსმა, თუმც რიცხვით ინგლისელები მეტი იყვნენ.

როდსმა კარგად იცოდა, რომ ირლანდელები უფრო წინააღმდეგნი იყვნენ ინგლისელებისა ჰოლანდელებზედ, ამიტომაც ისინიც მიიმხ-

რო. გაჰმართა პარნელთან მიწერ მოწერა და დიდძალ ფულსა სწირავდა იმ აგიტაციების სასარგებლოდ, რომელთაც აზრადა ჰქონდათ ჰომრულის გაყვანა. პარნელის სიკვდილის შემდეგაც-კი არ დაუგდია ეს გზა როდსს და პარნელის მომხრეებს ეხმარებოდა ფულით. ამ გზით როდსმა ისეთი დიდი ავტორიტეტი და ძალა მოიპოვა, რომ ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი, უბრალო ხელის მომწერელ მაშინას დაამსგავსა. როგორც შეჰფერის ნამდვილს გამჭრიახ დიპლომატს, ისე მოიქცა და 1894 ში კოლონიებთა კონფერენცია მოახდინა. ამ კონფერენციაზედ კანადა, სამხრეთის აფრიკა და ავსტრალია შეთანხმდენ ცეცხლის გემების და ტელეგრაფების მოწყობის შესახებ, და გარდაწყვიტეს შეამცირონ ტამოჟნის გარდასახადი ურთიერთის ნაწარმოებებზედ.

ეს კაცი სწორედ აფრიკის ბისმარკი შეიქმნა. როცა ვინმე დაეკითხებოდა, მოქმედებისათვის რა პროგრამმა აქვს შედგენილი ის უპასუხებდა ხოლმე ,,კაპიდამ ქაირამდისა“.

ის ადგენს კამპანიას ოქროს მადნის საძიებლად, სთხოვს მოციქულების პირით მატაბელეს მეფეს ლობენგულას ნება დართოს ამ კამპანიას, მის სამფლობელოში ოქროს მადანი იძიოს. ლობენგულა პირველად ძალიან გაჯავრდა, მაგრამ ამ დროს თვალის ტკივილი აუტყდა, რომლიდამაც ექიმმა ჯემსონმა მოარჩინა. ამ შემთხვევის წყალობით მან თავის გარდაწყვეტილება სრულიად შესცვალა და კამპანიას ოქროს ძებნის ნება დართო მის სამფლობელოში. ნებართვის წერილი ინგლისურად გადათარგმნეს, მაგრამ ლობენგულას დაუმალეს და ისე ჩაურთეს შიგ, რომ მათ ეძლევა საჩუქრად კარგა ძალი მანძილი, რომლის მართვა-გამგეობა შეუძლიანთ სრულიად დამოუკიდებლად.

ამ ყალბ თარგმანზე აფუძნებს კამპანია თავის უფლებას და ითხოვს ინგლისის მთავრობისაგან მფარველობას. ინგლისი, რასაკვირველია, მფარველობს ჰპირდება მათ. კამპანია დაიფლობს ამ ადგილებს და აღარავინ გარდასახადს არ აძლევს მონტებილეს მეფეს. მეფე ჯარს აგზავნის კამპანიის თავხედობის შესაზღუდველად. თვით კამპანია-კი კინაღამ არ გაკოტრდა, რადგანაც იმ ადგილებში ოქრო არ აღმოჩნდა, და მრავალმა ინგლისელმა და თვით მეფე ლობენგულმა დიდძალი ფული დაჰკარგა ამ კამპანიის აქციების ყიდვის გამო. ინგლისელი საზოგადოება ძალიან უკმაყოფილო იყო კამპანიის მოქმედებით და მთავრობამაც საზოგადოების გავლენის ქვეშ აღუკრძალა კამპანიას მონტებილეს მეფეს წინაშე ურჩობა.

ექიმმა ჯემსონმა შეადგინა ბრბო და მოიპოვა მათთვის ახალი სისტემის თოფები და ზარბაზნები, ინგლისის მთავრობის წარმომადგენელიც დაიყოლია და საწყალ ხალხს, მონტებილეს მცხოვრებთ მუსრი გაავლეს. მეფე გაიქცა სატახტო ქალაქიდამ და მცხოვრებთ დასტოვეს სამშობლო მიწა. მონტებილე დაცალიერდა და ჯემსონმა მერმე დაასახლა იქ ზანგები.

## შემოწირულება.

რედაქციამ მიიღო სამი მანეთი ბ. ი. ზედგირიძისაგან წყალდიდობით დაზარალებულთა სასარგებლოთ.

ქართულ გალობის ნოტების დაბეჭდვისათვის ბ. კ. თავართქილაძემ გადმომცა 14 მან., შემოწირული მღვდლის შიო დავიდოვის მიერ, რომელსაც უგულითადეს მადლობას ვუძღვნი.

ფილიმონ ქორიძე.

## საქართველოს თავადნი.

კნიაჟნა ჯამბაკურიან-ორბელიანისა. 28 მარტის 1873 წ. უმაღლესის ბრძანებით გვარდიის პოდპორუჩიკის თავ. დიმიტრი ჯამბაკურიან-ორბელიანის მიერ აღზრდილს—თებრონის ნება მიეცა ატაროს ტიტული და გვარი თავისის აღმზრდელისა და იწოდებოდეს კნიაჟნა ჯამბაკურიან-ორბელიანად.

თავადნი ჯამბაკურიან-ორბელიანნი-საქართველოს მეფის ნაზარ-ალი-ხანის 8 თებერვლის 1689 წლის გუჯარში სარდალი თამაზ ორბელიანი თავადად არის წოდებული.

20 სექტემბერს 1825 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს განაჩენით თავადებად ცნობილ და V გვარეულობათა წიგნში შეტანილ არიან: 1) კაპიტანი დიმიტრი, პოდპორუჩიკი მაკარი და შვილი გარდაცვალებულის გენერალ-მაიორისა ივანე თამაზის ძენი და 2) შტაბს-კაპიტანი დავით მზეჭაბუკის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 28 ნოემბერს 1851 წ., 9 ოქტომბერსა და 27 ნოემბერს 1858 წ. ამ გვარს შემოუერთდნენ თავადნი ჯამბაკურიან-ორბელიანნი: 1) დავით, ნიკოლოზ, ივანე და კონსტანტინე მაკარის ძენი; 2) ალექსანდრე ივანეს ძე და 3) გიორგი და ნიკოლოზ დავითის ძენი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

6 იანვარი.

უმაღლესი მანიფესტი.

შეწევნითა ღვთისათა განვიზრახეთ ჩვენ ამ მიმდინარე წლის მაისში, პირველს სატახტო ქალაქს მოსკოვში, ჩვენთა კეთილ მორწმუნე წინაპარ ხელმწიფეთა მაგალითისამებრ დავიდგათ გვირგვინი და დადგენილ წესისამებრ მივიღოთ წმ. მირონცხება და ვჰქმნათ თანაზიარ მისა უსაყვარლესიცა მეუღლე ჩვენი ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული.

ამიტომ მოვიწვევთ ამ მომავალ სადღესასწაულო საგვირგვინო დღისათვის ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ, რათა ჩვენთან ერთად გაიზიარონ სიხარული ჩვენი და ჩვენთან ერთად აღავლინონ მხურვალე ლოცვა მომნიჭებლისა მიმართ ყოვლისა სიკეთისა, რათა გარდამოგვივლინოს ჩვენ წყალობა სულისა მის წმიდისა, გააძლიეროს ხელმწიფება ჩვენი და წაგვმართოს გზითა მით დაუვიწყარის მშობლისა ჩვენისა, რომლისაცა სიცოცხლე და ღვაწლნი ძვირფასის ჩვენის მამულის სასარგებლოდ ბრწყინვალე მაგალითად დაშთებიან სამუდამოდ.

უმაღლესი ბრძანება.

მანიფესტით, რომელიც ამ დღეს გამოვეცით და რომლითაც ვაცნობეთ, რომ 1896 წლის მაისში იქმნება ჩვენი დაგვირგვინება, ვსცანით საკეთილოდ მოვიწვიოთ ამისათვის პირველს სატახტო ქალაქს მოსკოვში სრულიად რუსეთის იმპერიის წოდებათა და სხვათა წარმომადგენელნი, ღვთივ განსვენებულის ჩვენის მშობლის დაგვირგვინების მაგალითისამებრ, რაიცა დამტკიცებულია ჩვენგან საგანგებო დადგენილებით.

5 იანვარი.

**ლონდონი.** „ტაიმსს“ აუწყებენ დეპეშით კაპშტადტიდამ: 3 იანვარს (15-ს) იანვარს რობინსონმა აცნობა კაპის ახალშენის პრეზიდენტს, რომ ჯემსონი და სხვა ოფიცრები პატიმართა წესით იქმნებიან ინგლისს გაგზავნილნიო! ჯარის-კაცნი, რომელთაც სამხრეთ აფრიკაში მუდმივი საცხოვრებელი ბინა არა აქვთ, სამშობლოში გაიგზავნებიანო.

„დაილი ხრონიკლ“ იუწყება, რომ ეორდასში მყოფ ინგლისელთა ბანაკში მისულან აშანტიებისაგან გაგზავნილნი კაცნი კომასსადამ, თავისი სრული მორჩილება განუცხადებიათ და ინგლისის მიერ წარდგენილი ყველა პირობები სავსებით მიუღიათ. კამპანია დასრულდა.

**ლონდონი.** საადმირალსტვოში ამბავი მოუვიდათ, რომ ინგლისის კრეისერები „sappho“ Phoebe“ და Rarrosa“ დელაგოაში მოვიდნენო.

„დაილი ნიუს“-ი იუწყება, რომ ბერლინისა და ვენის კაბინეტებს ერთმანეთთან დიდი მოლაპარაკება ჰქონდათ იტალიელთა მდგომარეობის შესახებ აფრიკაშიო. საეჭვო არის რომ იტალიამ, რომელმაც საკმაო შეიარაღებული ძალი გაჰგზავნა აფრიკაში, ომის დროს შეიძლოს და აღასრულოს ვალდებულებანი, რომლებიც მან როგორც სამთა კავშირის წევრმა იკისრა.

7 იანვარი.

**პეტერბურგი.** 6 იანვარს წყლის კურთხევა მათის უმაღლესობის თანადასწრებით იქმნა შესრულებული. საზამთრო სასახლის ტაძარში ლიტურგიას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდნი მთავრინანი და დიდნი მთავარნი. ღვთის მსახურების დასრულების შემდეგ ტაძრიდამ ხატებითა და ჯვრებით წარემართნენ იორდანესკენ, სადაც იყვნენ აგრეთვე ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნიც. იორდანეს გარშემო დროშები და ბაირაღები იყო ამართული. წყალში ჯვარის ჩასვენებისათანავე ზარბაზნებმა იგრიალეს. დროშებსა, ბაირაღებსა და ჯარის-კაცთ წმ. წყალი ასხურეს.

**პეტერბურგი.** რკინის გზათა დეპარტამენტის დირექტორი სუმაროკოვი გარდაიცვალა.

**პარიზი.** გარდაიცვალა ფლოკე. გარდაცვალებულის პატივსაცემლადა და მწუხარების ნიშნად პარლამენტმა სხდომები შესწყვიტა.

ნამდვილად ამტკიცებენ, რომ ვატიკანში მყოფ საფრანგეთის ელჩის გრაფის ლეფევრის გამოცვლა გარდაწყვეტილიაო: ეს გარემოება უთუოდ იმას უნდა მიეწეროს რომ, ამბობენ, ვატიკანს (პაპის სასახლეს) განზრახვა აქვს საფრანგეთის ახალს კანონს ასოციაციათ შესახებ წინააღმდეგობა გაუწიოსო.

**ბერლინი.** 6 იანვარს, გერმანიის იმპერიის 25 წლის შესრულების გამო, სამეფო ციხე-დარბაზში მიღებულ იქმნენ ხალხის წარმომადგენელნი. როდესაც იმპერატორი მისაღებ დარბაზში შევიდა, პარლამენტის პრეზიდენტმა ბარონმა ბუოლმა მის პატივისაცემლად სადღეგრძელო წარმოსთქვა შემდეგ ბუოლმა წაიკითხა საიმპერ. ეპისტოლე; სიტყვებს, რომლებიც ბისმარკის სამსახურსა და მშვიდობიანობის დაცვას შეეხებოდა, დამსწრენი ტაშის ცემით მიეგებნენ. ამის შემდეგ იმპერატორმა აიღო ხელთ 1-ლის გვარდიის ქვეითა რაზმის ბაირაღი და ხმა მაღლა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: ,,ამ ბაირაღთან, რომელიც ორასის წლის სახელოვანსა და დიდებულს ისტორიას მოგვითხრობს, ვსდებ ფიცს ხელ-ახლად, რომ მზავარ თავი დავსდვა ხალხისა და იმპერიის პატიოსნების, სახელის დასაცველად შინა თუ გარედ. დეე იყოს იმპერია ერთი, ხალხი ერთი, ღმერთი ერთი“. დღესასწაულობა იმითი გათავდა, რომ ბავარიის მინისტრ-პრეზიდენტმა იმპერატორის პატივსაცემლად სადღეგრძელო წარმოსთქვა. საჯაროდ გამოცხადებულ იქმნა პატივება ზოგიერთ კერძო და სამხედრო პირთა. დაარსდა ორდენი ვილჰელმისა, რომელიც ეძლევათ ორისავე სქესის წარმომადგენელთ რაიმე სამსახურისათვის ხალხის ზნეობრივად გასაუმჯობესებლად, უფრო-კი სოციალურ პოლიტიკის ასპარეზზე. ეს ორდენი მიეცათ დედოფალსა და ქვრივს დედოფალს, ბადენისა და საქსონიის დიდს ჰერცოგინებს, თავადს ბისმარკს, მინისტრს მიქელსა და სხვათ. გამოცხადდა საიმპერატორო რესკრიპტი ბისმარკის მიმართ, რომელსაც უმოწყალესს მადლობას უძღვნიან „იმ დაუვიწყარ სამსახურისათვის, რომელიც მან იმპერატორსა და იმპერიას გაუწია“.

## საღამოს დეპეშა

8 იანვარი.

**პეტერბურგი.** ჩიგორინმა მოუგო სტეინიცს. პილსბერისა და ლასკერის პარტია გაყაიმდა.

**ლონდონი.** ვაშინგტონის მთავრობა არ დასთანხმდა პაპის მედიატორეთა სამართალზედ ვენესუელას საქმის შესახებ.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ტფილისი,** ივ. ლევ. მახ—ს: თქვენი ლექსი „შობა“ არ დაიბეჭდება.

**კონსტანტინოპოლი,** ბ. იმმას: თქვენი კორესპონდენციები სამწუხაროდ ვერ იბეჭდება.

**საჩხერე,** მგზავრს: თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**ფოთი,** ი. ი. კოხრეიძეს: გამოგიგზავნით.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ექ. ქალი ა. ი. დუნაევა რუდენკო** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. მ. პუგინოვი** 12—1 საათამდე, შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავათმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი,** 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. მ. პუგინოვი** 5—6 საათ., ორშაბ. ოთხშაბათ და პარასკეობით.

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(წ.)

# კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—64).

მაქვს ფარჩაზედ დახატული **თამარ დედოფლის** სურათი ბალიშებისათვის, თვითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე **ქართველთა ყველა გამოჩენილის** კაცის სურათი—აბრეშუმის ცხვირ სახოცზედ. თითო ღირს 3 აბაზი—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზედ დახატული აბაზი, 5 შაური და 6 შაური ლამპის საჩრდილობელი (აბაჟური) **ქართველთა გამოჩენილ მწერლების** სურათებით (6 სურათი)—3 მან.

ტფილისი, კოჩუბეის ქუჩა, დრობიშევის სახლი, № 21, ალექსანდრა როდიონოვისა.


Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Января 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.